



რადიოების საარჩევნო მონიტორინგი

15 - 30 ივნისი 2014 წელი

„ინტერნიუს - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“, ფარგლებში რადიოარხების საარჩევნო მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი 15 აპრილს დაიწყო და 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდა. იგი მოიცავდა 12 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „უცნობი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი), „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“ (ქ. ბათუმი).

15 - 30 ივნისის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, მთავრობასა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმოთ;
- რადიომაუწყებლების უმეტესობამ, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევები აქტიურად გააშუქა;
- მერობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო კიდევ უფრო შემცირდა;
- რადიომაუწყებლების უმეტესობა მეორე ტურის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენდა;
- არჩევნების თემას ყველაზე აქტიურად „პირველი რადიო“ აშუქებდა;
- ჟურნალისტების კითხვები მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებს ეყრდნობოდა და არა ემპირიულ მონაცემებს;
- ჟურნალისტები სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით საკითხის ერთჯერადად გაჟღერებით შემოიფარგლებოდნენ და შემდგომ დღეებში მოვლენების განვითარების შესახებ დამატებით ინფორმაციას არ ავრცელებდნენ;

- ჟურნალისტები ხშირად / მუსიკით არ მანიპულირებდნენ და არც სიმულვილის ენას იყენებდნენ.

"რადიო 1" (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

“რადიო 1-მა“ მონტორინგის სუბიექტებს 33 წუთი დაუთმო. აქედან, ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუგროვდა (34%), შემდეგ მოდის კოალიცია „ქართული ოცნება“ (15%) და მთავრობა (11%). რადიომაუწყებელი სუბიექტების პირდაპირ საუბარს არ აშუქებდა.


ჟურნალისტები ამზადებდნენ მოკლე ახალ ამბებს, სადაც საკითხს მშრალად და დამატებითი ინფორმაციის მოძიების გარეშე აშუქებდნენ. ახალი ამბები ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა და პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა. უარყოფითი ტონი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუგროვდათ, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკოსთა ურთიერთკრიტიკული განცხადებებით და არა ჟურნალისტის კრიტიკული კითხვებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი აქცენტს საარჩევნო თემატიკის გაშუქებაზე აკეთებდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი დარღვევები და პოლიტიკური პარტიებისა თუ არასამთავრობო სექტორის საჩივრები ინტენსიურად შუქდებოდა. ასევე დიდი დრო ეთმობოდა ცესკოს განცხადებებს. თუმცა, ამჯერადაც ჟურნალისტები კომენტარების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ და საკითხს სიღრმისეულად არ აშუქებდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში, არჩევნების შედეგების გამოცხადების გარდა, მერობის კანდიდატებისთვის დრო თითქმის არ დაუთმიათ. ამიტომაც, მათგან წუთზე მეტი დრო მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიას დაუგროვდა.

მთლიანობაში, რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობდა და ჟურნალისტები პროფესიული ეთიკის სტანდარტებს იცავდნენ. თუმცა, მოვლენების ზედაპირული გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა.

რადიო 1-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)



„პირველი რადიო“

„პირველმა რადიომ“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 56 წუთი დაუთმო, საიდანაც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ დროის 32% მოდიოდა, მთავრობაზე - 16%, კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ - 11%. არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები მათთვის დათმობილ დროს, ძირითადად, ხელისუფლების ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკისთვის იყენებდნენ. შესაბამისად, უარყოფითი ტონიც ამ სუბიექტებს დაუგროვდათ; სხვა სუბიექტები კი ნეიტრალურად გაშუქდნენ.

ყველა სხვა რადიომაუწყებელთან შედარებით, სუბიექტების პირდაპირ საუბარს დიდი დრო დაეთმო (65%), რაც საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკოსთა ჩართვებით იყო გამოწვეული.


არჩევნების დღეს რადიომაუწყებელის ეთერში საარჩევნო უბნებზე არსებული ვითარება მიმოიხილეს, რა დროსაც თბილისის მერობის კანდიდატების პირველი კომენტარებიც

გაშუქდა. მომდევნო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში მთავარ თემად კვლავ არჩევნები რჩებოდა. ჟურნალისტები ინტენსიურად აშუქებდნენ გამოვლენილ დარღვევებს, პოლიტიკოსთა და არასამთავრობო სექტორის განცხადებებს. „პირველი რადიო“ მეორე ტურის მიმართ ინტერესითაც გამოირჩეოდა. ჟურნალისტებმა მეორე ტურში გადასული კანდიდატებისგან ინტერვიუები აიღეს. მაგალითად: 17 ივნისს გადცემაში მიწვეული იყო ოზურგეთში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი შოთა გოგიბერიძე, 18 ივნისს - გორში „ქართული პარტიის“ კანდიდატი კახა ერგემლიძე. ჟურნალისტი კანდიდატებს მწვავე კითხვებს ნაკლებად უსვამდა, თუმცა საშუალებას აძლევდა, არჩევნები შეეფასებინათ და საკუთარ გეგმებზე ესაუბრათ. ინტერვიუ თვითმმართველი ქალაქების მერობის მეორე ტურში გასულ მხოლოდ ერთ კანდიდატთან ტარდებოდა და მის კონკურენტს იგივე შესაძლებლობა არ ეძლეოდა.

„პირველი რადიო“ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების მერობის კანდიდატებს დიდ დროს უთმობდა, მაშინ როდესაც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში ისინი საერთოდ არ შუქდებოდნენ. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, რადიომაუწყებელი კიდევ უფრო დაბალანსებულ ახალ ამბებს ამზადებდა. თუმცა, რესპონდენტების წარდგენის საკითხი კვლავ პრობლემად რჩებოდა, რადგან ზოგჯერ სუბიექტის კომენტარი ისე გადიოდა ეთერში, რომ გაურკვეველი იყო ვინ საუბრობდა.

ჟურნალისტები მიუკერძოებლად მუშაობდნენ. ისინი არც ხმით / მუსიკით მანიპულირებდნენ და არც სიძულვილის ენას იყენებდნენ.

**პირველ რადიოზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო
ტონის მიხედვით (%)**



რადიო „პალიტრა“


რადიო „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 18 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ (34%), მთავრობასა (26%) და კოალიცია „ქართული ოცნებას“ (15%) დაუგროვდათ. რადიომაუწყებელი სუბიექტების პირდაპირ საუბარსაც ამუშავდა (საშუალოდ, 34%).

ჟურნალისტები დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდნენ. საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, ხელისუფლებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობების ირგვლივ მზადდებოდა, არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს კი წუთზე მეტი დრო არ დასთმობიათ.

არჩევნების თემაზე მომზადებული სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ დარღვევებს ეხებოდა, თუმცა მერობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო არც ერთს არ დაუგროვდა. შესაბამისად, მეორე ტურში გასული კანდიდატების შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გაშუქებულა.

მთლიანობაში, ჟურნალისტები მიუკერძოებლად და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით მათი

პროაქტიულობა არ იგრძნობოდა და არჩევნების თემაზე ნაკლებად მრავალფეროვანი სიუჟეტები მზადდებოდა.




რადიო „უცნობი“

რადიო „უცნობი“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტებსაც მცირე დრო დაეთმოთ (14 წთ.). აქედან, წუთზე მეტი დროით სულ სამი სუბიექტი გაშუქდა.

ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ. ისინი არც მათ პირდაპირ საუბარს აშუქებდნენ და არც დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ცდილობდნენ. არჩევნების თემაზე მომზადებული ახალი ამბები მშრალი და ზედაპირული იყო. მერობის კანდიდატებს დრო საერთოდ არ დაეთმოთ.

რადიო „უცნობი“ არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა. თუმცა, ახალი ამბები, ხშირად, დაუბალანსებელი იყო და ერთ წყაროს ეყრდნობოდა.

რადიო უცნობზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)



რადიო „თავისუფლება“


რადიო „თავისუფლებამ“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას საათი და 10 წუთი დაუთმო. აქედან, დროის 27% "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაზე", ხოლო 25-25% მთავრობასა და კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" მოდიოდა. რადიომაუწყებელი სუბიექტების პირდაპირ საუბარსაც აშუქებდა.

წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, რადიომაუწყებელი დაბალანსებული და ანალიტიკური საინფორმაციო გამოშვებებით გამოირჩეოდა. მონიტორინგის სუბიექტები, უმეტესად, ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ, თუმცა ყველაზე ხშირად გაშუქებულ სამ კანდიდატს უარყოფითი ტონიც დაუგროვდა.

ჟურნალისტები სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და თემებს განსხვავებული კუთხით წარმოადგენდნენ. მაგალითად, 24 ივნისის გამოშვებაში ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე გასვლის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში გაანალიზებული იყო ქართული საექსპორტო ბაზრის თავისებურებები და საკითხის გარშემო არსებული სირთულეები. პოლიტიკოსთა კომენტარებთან ერთად, წარმოდგენილი იყო მოქალაქეების მოსაზრებები და სპეციალისტების განმარტებებიც.

15 ივნისს რადიო „თავისუფლების“ ეთერში არჩევნების შესახებ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, სადაც დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები მიმოიხილეს. ჟურნალისტები გამოვლენილ დარღვევებს დეტალურად აშუქებდნენ. მასალებში წარმოდგენილი იყო როგორც თბილისის, ასევე რეგიონების საარჩევნო უბნებზე განვითარებული პროცესები. თუმცა, არჩევნების მომდევნო პერიოდში, რადიომალაშვებელს მერობის კანდიდატების გაშუქებაზე აქცენტი არ გაუკეთებია. კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატების გარდა, წუთზე მეტი დროით არც ერთი კანდიდატი არ გაშუქებულა.

რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტები მიუკერძოებლად, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ.




რადიო "მაესტრო"

რადიო „მაესტროს“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ 2 საათი და 18 წუთი შეადგინა. აქედან, 45 წუთი მთავრობაზე მოდიოდა, 33 წუთი - „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობაზე“ და 26 წუთი - კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. რადიომალაშვებელს სუბიექტების პირდაპირი საუბარი არ გაუშუქებია.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, ჟურნალისტები გააქტიურდნენ და საინფორმაციო გამოშვებები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ერთ წყაროზე დაყრდობით მომზადებული ახალი ამბები კვლავაც პრობლემად დარჩა, თუმცა მათი რიცხვი შედარებით შემცირდა. ამჯერად ჟურნალისტები მოვლენებს უფრო სიღრმისეულად აშუქებდნენ.

არჩევნების დღესა და მის შემდგომ პერიოდში არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებების გაშუქებამ მოიმატა. მერობის კანდიდატებს მცირე დრო დაეთმოთ და აქცენტი საარჩევნო უბნებზე არსებული დარღვევების გაშუქებაზე გაკეთდა. ჟურნალისტები მოვლენების გასაანალიზებლად ექსპერტებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, 17 ივნისს მომზადდა ინტერვიუ, სადაც პოლიტოლოგი კახი კახიშვილი არჩევნების შედეგებს განიხილავდა. 27 ივნისს კი პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობაზე საუბრობდა.

რადიომაუწყებელი მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდა, ჟურნალისტები ეთიკის სტანდარტებს იცავდნენ. ხმით / მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.




რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნას“ საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი 5-6 წუთს არ აღემატებოდა. ამიტომ, მონიტორინგის სუბიექტებს სულ 26 წუთი დაეთმო. ამ დროის 23% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 19% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ხოლო 18% - კოალიცია "ქართული ოცნების". რადიომალწყებელი სუბიექტების პირდაპირ საუბარს არ აშუქებდა.

მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ, რის ფონზეც კოალიცია "ქართული ოცნების" უარყოფით ტონში გაშუქების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა (71%). მმართველი გუნდისთვის უარყოფით ტონში დათმობილი დრო ოპონენტთა კომენტარების ციტირებით იყო გამოწვეული და არა ჟურნალისტების სუბიექტური შეფასებებით ან ხმითა თუ მუსიკით მანიპულირებით. მაგალითად, 16 ივნისის გამოშვებაში პოლიტოლოგი კახი კახიშვილი, არჩევნების შედეგების შეფასებისას, მმართველ კოალიციას აკრიტიკებდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მერობის კანდიდატებს დრო თითქმის არ ეთმობოდათ. მათგან მხოლოდ თბილისში მეორე ტურში გასული კანდიდატები გაშუქდნენ.

ჟურნალისტები დღის მთავარ ამბებთან დაკავშირებით მიუკერძოებელ, თუმცა ზედაპირულ ინფორმაციას ავრცელებდნენ. არ მომზადებულა ანალიტიკური სიუჟეტები და პოლიტიკოსთა აქტივობების მიმართ მწვავე კითხვები არ დასმულა.



რადიო „იმედი“


რადიო „იმედი“ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას საათი და 34 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო "ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე" (41%), მთავრობასა (25%) და კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" (17%) მოდიოდა. სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის უფრო მეტი დრო (59%) ეთმობოდათ, ვიდრე ირიბი საუბრისთვის.

რადიომაუწყებელმა სუბიექტები, ძირითადად, ნეიტრალურ და უარყოფით ტონში გააშუქა. მთავრობის, კოალიცია "ქართული ოცნებისა" და პრემიერმინისტრის უარყოფით ტონში გაშუქების მაჩვენებელი, ძირითადად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებებს უკავშირდება. მაგალითად, 20 ივნისს საპარლამენტო უმცირესობის წევრის, სერგო რატიანის ინტერვიუ გაშუქდა. საკითხი აზერბაიჯანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების საზღვარზე დაკავების ფაქტს ეხებოდა, რის გამოც რატიანი საქართველოს ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებდა.

15 ივნისს რადიო „იმედზე“ საარჩევნო პროცესები, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და არასამთავრობო სექტორის შეფასებები დეტალურად გაშუქდა. თუმცა, წინა საანგარიშო

პერიოდებთან შედარებით, მერობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო შემცირდა და ამჯერად, წუთზე მეტი დრო არც ერთ მათგანს არ დაეთმო.

რადიო „იმედი“ არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, ჟურნალისტები პროფესიული ეთიკის სტანდარტებს იცავდნენ.




რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო "ათინათის" ეთერში 5-6 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები გადიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში მხოლოდ 15 წუთი დაეთმო. ყველაზე ხშირად მთვრობა (28%), კვალიცა "ქართული ოცნება" (25%) და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (21%) შუქდებოდნენ. ჟურნალისტები რესპონდენტთა განცხადებებს ციტირებდნენ და სუბიექტების პირდაპირ საუბარს დრო, თითქმის, არ ეთმობოდა.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. მათ მიერ გაშუქებული ინფორმაციის დიდი ნაწილი სოციალურ თემებს ეხებოდა, სადაც მოსახლეობის კომენტარებთან ერთად, პასუხისმგებელი პირების განმარტებებიც იყო წარმოდგენილი.

15 ივნისის საინფორმაციო გამოშვება მსმენელს ზუგდიდში არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. რადიომაუწყებელმა დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევები და მთავრობის წარმომადგენლების ხმის მიცემის პროცესი გააშუქა. მერობის კანდიდატებიდან მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ თეიმურაზ ბასილაიას დაეთმო დრო და ისიც 97% დადებით ტონში.

საარჩევნო პერიოდში რადიო „ათინათი“ მიუკერძოებლად მუშაობდა, თუმცა მოვლენებს მოკლედ და მშრალად აშუქებდა.



რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)


რადიო „ძველი ქალაქი“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. მონიტორინგის სუბიექტებს სულ 31 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“, მთავრობა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ. დროის, საშუალოდ, 30% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მოვლენები უფრო ზედაპირულად შუქდებოდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდნენ და მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ.

ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ. შესაბამისად, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობისთვის დაგროვილი უარყოფითი ტონი ოპონენტთა კრიტიკული განცხადებების გაშუქების შედეგია.

რადიომაუწყებელი აქცენტს ქუთაისში მიმდინარე მოვლენებზე აკეთებდა. საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ სიუჟეტები მზადდებოდა, სადაც პოლიტიკოსებს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება ეძლეოდათ. მერობის კანდიდატებიდან არჩევნებში პირველ სამ ადგილზე გასული სუბიექტები გაშუქდნენ. ამასთან, ამ თემაზე მოსახლეობის გამოკითხვები მომზადდა, სადაც მოქალაქეები არჩევნების შედეგებზე, წინა მოწვევის საკრებულოსა და ახლად არჩეულ მერზე საუბრობდნენ.

ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ და არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. რადიომაუწყებლის ეთერში პროფესიული ეთიკის სტანდარტები დაცული იყო.




რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)

რადიო „ჰერეთმა“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 26 წუთი დაუთმო, საიდანაც დროის 37% მთავრობაზე მოდიოდა, 21-21% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. რადიომაუწყებელი სუბიექტების პირდაპირ საუბარსაც აშუქებდა (საშუალოდ, 32%).

საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი კახეთში მიმდინარე მოვლენებზე კეთდებოდა. რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტები პროაქტიულობით განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ. დიდი დრო ეთმობოდა მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას, სადაც მოქალაქეთა განცხადებებიც ისმოდა და პასუხისმგებელი პირების საპასუხო კომენტარებიც. ამასთან, რადიომაუწყებელი პრობლემების ერთჯერადი გაშუქებით არ შემოიფარგლებოდა და მომდევნო საინფორმაციო გამოშვებებში მსმენელებს მოვლენების განვითარების შესახებ დამატებით ინფორმაციას აწვდიდა.

რადიომაუწყებელი საარჩევნო თემატიკას აქტიურად აშუქებდა, თუმცა წუთზე მეტი დრო მერობის არც ერთ კანდიდატს არ დაეთმო. ჟურნალისტები საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ დარღვევებს ვრცლად და დეტალურად აშუქებდნენ. შუქდებოდა, როგორც პოლიტიკოსების, ასევე არასამთავრობო სექტორის განცხადებები. ახალი ამბები ანალიტიკურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა ბალანსი დაცული იყო.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობდა და ჟურნალისტები პროფესიული ეთიკის სტანდარტებს იცავდნენ.




რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი)

რადიო „აჭარამ“ მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 24 წუთი დაუთმო, საიდანაც 27% კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა, 19% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ და 16% - აჭარის მთავრობაზე. რადიომაუწყებელი სუბიექტების პიდაპირ საუბარსაც აშუქებდა.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, საინფორმაციო გამოშვებები უფრო მრავალფეროვანი იყო, სიუჟეტები - უფრო დაბალანსებული. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, რაც უარყოფითი ტონის გადანაწილებაზეც აისახა. თუმცა, პრობლემად დარჩა კრიტიკული კითხვების ნაკლებობა, რის გამოც სუბიექტების აქტივობები, ძირითადად, დადებით ტონში შუქდებოდა. მაგალითად, აჭარის მთავრობის წარმატებით განხორციელებული პროექტების გაშუქებას გაცილებით მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე კონკრეტული პრობლემის კონტექსტში მათი შეხედულებებისა და გეგმების წარმოჩენას.

არჩევნების დღესა და მომდევნო კვირაში საინფორმაციო გამოშვების ხანგრძლივობა გაიზარდა. მეორე ტურში გასული კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ. ჟურნალისტები არჩევნების დღეს გამოვლენილ დარღვევებზე დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდნენ, სადაც ცესკოს წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები შუქდებოდა.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობდა. ჟურნალისტები არც ხმით / მუსიკით მანიპულირებდნენ და არც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა.



დასკვნა

საანგარიშო პერიოდში რადიომაუწყებლები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ, თუმცა კრიტიკული კითხვების, ჟურნალისტების პროაქტიულობისა და სიღრმისეული სიუჟეტების ნაკლებობის პრობლემა კიდევ უფრო გამოიკვეთა.

რადიომაუწყებლების უმეტესობა საინფორმაციო გამოშვებას ხელისუფლების ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობების ირგვლივ ამზადებდნენ, ხოლო არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისთვის დათმობილი დრო მკვეთრად შემცირდა. სიუჟეტები

პოლიტიკოსთა განცხადებებზე იყო აგებული და ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არ ცდილობდნენ.

პოლიტიკოსებს საშუალება ეძლეოდათ საკუთარ უპირატესობებზე ესაუბრათ, მაგრამ ამ განცხადებებს ჟურნალისტის მწვავე კითხვები არ მოსდევდა. მაგალითად, ხელისუფლების წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე გაცილებით მეტი სიუჟეტი მზადდებოდა, ვიდრე კონკრეტული პრობლემის კონტექსტში მათი მოსაზრებებისა და ხედვების შესახებ. თითქმის არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც პოლიტიკოსის განცხადების გადასამოწმებლად ჟურნალისტებს საჯარო ინფორმაცია გამოეთხოვათ, სტატისტიკა და კვლევის შედეგები მოეშველიებინათ. შესაბამისად, ჟურნალისტების კითხვები მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებს ეყრდნობოდა და არა ემპირიულ მონაცემებს.

არჩევნების დღეს რადიომაუწყებლებმა შედარებით აქტიურად იმუშავეს. ისინი საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობას და გამოვლენილ დარღვევებს ოპერატიულად აშუქებდნენ. ამასთან, დიდი დრო ეთმობოდა არასამთავრობო სექტორისა და ცესკოს განცხადებების წარმოჩენასაც.

მერობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო კიდევ უფრო შემცირდა. რადიომაუწყებლების უმეტესობაში წუთზე მეტი დრო მეორე ტურში გასულ კანდიდატებსაც კი არ დაეთმოთ. ზოგადად, მეორე ტურის შესახებ სიუჟეტები ნაკლებად მზადდებოდა და კანდიდატთა საარჩევნო კამპანიები აღარ გაშუქებულა.

ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ. ისეთი პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა, როგორცაა ხმით / მუსიკით მანიპულაცია ან სიძულვილის ენის გამოყენება, არ დაფიქსირებულა.